გოლები: 1-0 ახალთაძე (19), 1-1 მანტი (84).

გაფრთხილება: ორბელაძე (31), რეიდი (31), ცომაყრიძე

გაძევება: რეიდი (32)

მსაჯები: ი. მეგობრიო, ტ. დინარბაღი, ვ. კაშია, ზ. ტომპოში. (ყველა — უნგრეთი)

დელეგატი: პიტერ ჯონსი (ინგლისი).

პირველი კომპლიმენტი

რევაზ არველაძის თავკაცობით ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველი მატჩი ჩაატარა, პირველი გოლი გაიტანა და პირველი ქულა მოიპოვა, პირველი კომპლიმენტიც დაიმსახურა, თუმცა მოსაგები მატჩი სასურველი ანგარიშით, მაინც ვერ დაასრულა. მოთამაშეებთან ამხანაგური შეხვედრის შემდეგ ნაკრების თამაში პრობრესი კი იგრძნობოდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტების გამოყენებლობამ და მატჩის მიწურულს დაღლილობამ ის უდიდესი უპირატესობა, რაც მასპინძლებს ჰქონდათ, ტოლფასი სტუმრებთან ჭიდილით, ბოლოს ჩვენსა სამწუხაროდ, გაანათელა. არადა, მატჩი ჩინებულად დაიწყო ქართველთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა. თუ არ ჩავთვლით მამალაძის შეცდომას, რომელსაც კინაღამ გოლი მოჰქვა ჩვენს კარში, სტუმრებს საბერი და ჩვენთვის სახიფათო, თითქმის, მთელი მატჩის განმავლობაში არაფერი შეუქმნიათ. ქართველები კი უტეხდნენ, რასაც მეცხრამეტე წუთზე ახალთაძის ოსტატური გოლი მოჰყვა. მერე იყო ის, რომ ტურნირი საყურადღებოდ საქციელს თავად წამოგენენ და მინდორზე ათნი დარჩნენ. მეორე ტაიმში, თითქმის ნახევარი საათი ჩვენებურთა უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ, სულ ცოტა, კიდევ ორი გოლი უნდა გვქონოდა, მაგრამ პირიქით ეი მოხდა.

დიდი ოსტატები არც ირლანდიელებს ჰყავდათ, ისინი თავისებური უხეშობურთის თამაშობდნენ თავისებური მინდობებით, რამაც ქართველი ფეხბურთელებისა დაღლილობის ფონზე ბრატანელთათვის მისაღები შედეგი მოიტანა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ირლანდიელთა მწვრთნელი დონ გიგნსი შეიქეიით აშკარად კმაყოფილი იყო, რამდენიმე ჩვენი ფეხბურთელის თამაშიც აღნიშნა და გაღიმებული დაშორდა ჟურნალისტებს. რევაზ არველაძის ეიფორიული განწყობა ნაკრებში მოიცა მაშინ, როდესაც საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გაიგო მეტოქისაგან ის ცნობა, რომ ირლანდიის ნაკრებში ორი ფეხბურთელი დაემატა. ესენი იყვნენ ლივერპულის ნაკრებში ცნობილი სტივენ ჰანრეჰანი და ნიუკასლის ნაკრების ნაკადული ნიკოლას ანელკა. ეს ორი ფეხბურთელი ირლანდიის ნაკრებში ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ბელფასტელი ნაკრების თამაშში ისინი ერთ-ერთ ძლიერ ფეხბურთელებად მოგვევლინნენ.

მატჩის შემდეგ ირლანდიელთა მწვრთნელი დონ გიგნსი ამბობდა: „ჩვენ ვიცოდით, რომ ქართველები ძლიერი გუნდია, ამიტომ ჩვენი ფეხბურთელები ძალიან ფრთხილად ვიწყებდნენ თამაშს, მაგრამ ეს ფრთხილება ჩვენ ვერ დაგვიჯდა. ნახევარ საათში ჩვენ ვიგრძენით, რომ ქართველები ჩვენზე ძლიერები არიან. ამ ნაკლოვანებამ ჩვენ ვერ შეგვაჩერა. ჩვენ ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც ეს ჩვენ შეგვეძლო

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ვალერი გაზაევი: „ალბანელებთან წაგებაში ტრაგედიას ვერ ვხედავ“

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებიდან ერთ-ერთი მთელფილდნელობა ალბანეთის ნაკრების მიერ რუსეთის ნაკრების დამარცხება იყო (1-3). მაინც რა მოხდა ამ შეხვედრაში? უფროსობასი, თავად რუსთა მთავარ მწვრთნელი ვალერი გაზაევმა მოკუსმინოთ:

— ჩვენი გუნდის კარში, მსაჯთა შეცდომების გამო, ორი გოლი გავიდა, — ამბობს გაზაევი, — ორივეჯერ ალბანელებმა თამაშის წესები დაარღვიეს. მსაჯის სასტვენი კი სდუმდა.

— შეიძლებოდა, გამარცხება ამ შეხვედრაში?

— დიახ. ალბანელები მეორე ტაიმში ორჯერ მიუახლოვდნენ რუსეთის ნაკრების კარს და ორივეჯერ გოლის გატანა შეძლეს. ჩვენს ფეხბურთელებს რამდენჯერმე მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა. თუმცა მათი რეალიზება ვერ მოახერხეს. ალბანელთა ნაკრები დიდი მონდომებით თამაშობდა. მასპინძელთა გუნდის ფეხბურთელები ბოლომდე დაიხარჯნენ და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს.

— რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებმა თქვენი დავალება სრულად შეასრულეს?

— ვფიქრობ, ასეა. მართალია, მატჩამდე და შეხვედრის დროსაც იერიშობოდა საკმარო პრობლემები. თუმცა ამის მიუხედავად, თამაშად შეძლია ვთქვა, ჩვენს გუნდს ალბანელთა გუნდისთვის უნდა მოეგო, თუნდაც ამ უკანასკნელის დინებად გამომდინარე.

— ალბანეთის ნაკრები იმსაბურდა გამხარჯვებას?

— დიახ. ხომ მოიგეს კიდეც.

— ალბანელში სამი ქულის დაკარგვა ტრაგედიაა?

— რა თქმა უნდა, საწყენია, რომ წაგვაგეთ, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შეიქმნათ. ყველაფერი ხომ წინ არის. ამ დამარცხების ანალიზი გავეკეთებთ. ფეხბურთელებმა შეიგნეს, რომ ყოველ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით საკვალიფიკაციო ნაკრებთან შეხვედრას.



პაოლო მალდინი „მილანში“ ორი წლით დარჩება

იტალიური საფეხბურთო „მილანის“ მცველმა პაოლო მალდინიმ (სურათზე) ერთი წლით კიდევ გააგრძელა კონტრაქტი თავის კლუბთან. ახალ კონტრაქტს ვადა 2005 წლის ივნისში გასდის.

აქვე ვიტყვით, რომ მალდინი, რომელიც ამჟამად 34 წლისაა, მთელი თავისი კარიერის განმავლობაში ერთსა „მილანის“ ღირსებას. მისი დებიუტი 16 წლის ასაკში შედგა. ხუთჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, სამჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი, ორჯერ — საკლუბთაშორისო თასი.

პაოლო მალდინიმ 126-ჯერ დაიცვა იტალიის ნაკრების ღირსება, მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატში იასპარეზა.

„რეალი“ საფეხბურთო აკადემიებს ხსნის

მადრიდის „რეალი“ უახლოეს ხანში გახსნის საფეხბურთო აკადემიებს პუერტო და მიხიკოში. ამის შესახებ, გუშინ ოფიციალურად განაცხადა ესპანური სამეფო კლუბის სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ. ასე რომ, ეს იქნება „რეალის“ პირველი საფეხბურთო სკოლები ესპანეთის ფარგლებს გარეთ. ვალდანოს თქმით, აკადემიის კურსანტები ეკიპირებულნი იქნებიან „რეალის“ სპორტული ატრიბუტებით.

პოპესკუ ნაკრებში აღარ ითამაშებს

რუმინეთის ფეხბურთილთა ნაკრების კაპიტანმა გეორგ პოპესკუმ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამიერიდან აღარ დაიცავს ქვეყნის პირველი გუნდის ღირსებას. პოპესკუმ 115 მატჩი ჩაატარა რუმინეთის ნაკრებში და 16 გოლი გაიტანა. აწ უკვე ყოფილ კაპიტანის თქმით, რუმინეთის ნაკრებში არიან ახალგაზრდა მოთამაშეები, რომლებიც წარმატებით შეცვლიან მას.

«მილანს» კაფუს შეძენა სურს

იტალიური პრესის ცნობით, „მილანს“ ხელმძღვანელობა დაინტერესებულია, შეიძინოს კაფუ, რომელსაც მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრებს კონტრაქტი თავის კლუბთან — „რომასთან“. მილანელებმა კაფუს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს, თუმცა ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია.

აღრე საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ბრაზილიელი ვეტერანი იაპონიაში გააგრძელებდა თავის კარიერას, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს „ეიზტი“ გაუვლელი ვადით გადაიღება.

რივალდო

რივალდო „მილანის“ დატოვებას არ აპირებს

ბრაზილიელმა ფორვარდმა რივალდომ გუშინ განაცხადა, რომ არ აპირებს თავისი ამჟამინდელი კლუბის „მილანის“ დატოვებას.

„მე აქ თავს კარგად ვგრძნობ. ბევრჯერ მისაუბრია ინგლისელ ჟურნალისტებთან, თუმცა არასოდეს მითქვამს, რომ „მილანის“ დატოვებას ვაპირებ“, — თქვა რივალდომ.

ეს იყო რივალდოს პასუხი იმ ჭორებისა, რომლის თანახმადაც, თითქოს ბრაზილიელი „ლივერპულში“ გადასვლას აპირებდეს.

შველებმა ახალი გოლკიპერი გამოიძახეს

ხვალ შველდეთის ნაკრები უნგრეთის გუნდს ეთამაშება. წინასამატჩო მზადებისას გაირკვა, რომ შველდთა ძირითადი მეკარე ანდრეას ისაკსონი ტრავმის გამო ვერ ითამაშებს შველდების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე ნაკრების ხელმძღვანელობამ ლუქსემბურგელებთან მატჩისათვის გამოიძახეს ედი გუსტაფსონი.

რუსეთი თავაშის ყიდვას ცდილობდნენ?

ალბანეთის სპორტული გამოცემა „სპორტი შქიპტარის“ ცნობით, ალბანეთისა და რუსეთის ფეხბურთილთა მატჩის დაწყებამდე, მასპინძლებს მიმართეს რუსეთის მხარის წარმომადგენლებმა და შესთავაზეს მათ თამაშის დათმობა 300 ათას დოლარად, რაზედაც ალბანეთის მხარემ მტკიცე უარი განაცხადა. ალბანეთის ფეხბურთელებმა, ალბანელ ფეხბურთელებს „სეფთა“ და მონდომებით თამაშმა მოულოდნელი გამარჯვება მოუტანა რუსეთის ძლიერ ნაკრებთან შეხვედრაში...

ოგმარ პიგუეელდი

ცნობილმა სპეციალისტმა ოტმარ ჰიტცფელდმა უარი განაცხადა მოუხვნეს „ბაიერნთან“ კონტრაქტის გაგრძელებაზე. კლუბის ხელმძღვანელობამ ორიოდე დღის წინ ჰიტცფელდს შესთავაზა კონტრაქტი 2005 წლამდე, რის შემდეგაც გერმანელები აღექმ ფერგიუსონის მოწვევის პირობებს. ჰიტცფელდის თქმით, მას სურს თავის სამწვრთნელო კარიერაში მცირე პაუზა გააკეთოს.

ფლო ნორვეგიის ნაკრებში გამოიძახეს

ლუქსემბურგის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრისათვის ნორვეგიის ნაკრების ხელმძღვანელობამ ტორე ანდრე ფლო გამოიძახა. ბოლოს ფლომ ნორვეგიის ნაკრების ღირსება 3 წლის წინ დაიცვა. მწვრთნელ ჯონ კარიუს ეს ნაბიჯი იძულებითი იყო მას შემდეგ, რაც გუნდს გამოაკლდნენ ტომას მიური და სტეფან იფერსენი.



„ვანნჩესტერ სიტი“ მზად არის მაქსიმალურად 10 მილიონი უნგრი გადაიხადოს

ინგლისურმა საფეხბურთო კლუბმა „მანჩესტერ სიტიმ“ მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველის სტივ მაკმანამის (სურათზე) შეძენის სურვილი გამოთქვა. ამის შესახებ განაცხადა გიორგი ქინქლაძის ყოფილი კლუბის მთავარმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა. აქვე ომახაც გეტყვით, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, ესპანური სამეფო კლუბის სპორტულ დირექტორის ხორხე ვალდანოს განცხადებით, სტივ მაკმანამის არავინ დაეკვეპა, თუ ეს უკანასკნელი რომელიმე სხვა გუნდში გადასვლას მოისურვებს.

მალბრამი „ლივერპულში“ მიდის

მომდინარე წლის ზაფხულში სტივ მალბრამმა შესაძლოა, დატოვოს ლონდონის საფეხბურთო კლუბი „ფულემი“ და ინგლისურ „ლივერპულს“ მიაშუროს. ამ უკანასკნელის მთავარი მწვრთნელი ჟერარ ულიე მზად არის, ფეხბურთელში 5 მილიონზე ფუნტი გადაიხადოს.

ევრო 2004-ის თილისმა

პორტუგიის შედგა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ოფიციალური თილისმის პრეტენზიაზე. თილისმა წარმოადგენს ბურთისაკენ ჭეჭრილა ბავშვს და მას სახელად „ანინო“ ჰქვია. „თილისმა დამზადებულია კომპანია „უოარერ ბრადერსის“ მიერ და განასახიერებს პორტუგალიელი ახალგაზრდობის სწრაფვას ფეხბურთისადმი“. — განაცხადა სპეციალურ საზეიმო ცერემონიაზე „ევრო 2004 ეს-ეიტ“ პრეზიდენტმა ჟილბერტუ მადაილმა.

ტრაპატონი: „ჩვენ პირველ ადგილზე გავალთ“

იტალიის ფეხბურთილთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი ევროპის ჩემპიონატზე შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას გეგმავს.

ამჟამად ჯგუფში მეორე ადგილზე ჭყარი იტალიის ნაკრები 5 ქულით ჩამორჩება ლიდერს.

„დარწმუნებული ვარ, რომ დარჩენილ მატჩებში წარმატებით ვიასპარეზებთ და ფეხლის ნაკრებს გადავუსწრებთ“, — ამბობს ჯოვანი ტრაპატონი.



ბექენბაუერი გერმანიის ნაკრებს აკარგინებს

გაზეთ „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ფრანც ბეკენბაუერმა (სურათზე) მკაცრად გააკრიტიკა გერმანიის ფეხბურთილთა ნაკრები, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საკუთარ მოედანზე ფრედ (1-1) თამაშეს ლიტვის გუნდთან.

„მახსოვს გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატი, როცა ჩვენი გუნდისაგან მეოთხედფინალამდე გასვლას ველოდით, მოულოდნელად ნაკრებმა ფინალში თამაშა და ჩვენ ბედნიერები ვიყავით. ახლა კი ვიტყვი, რომ ეს იყო სრულიად შემთხვევითი მოვლენა. გერმანიის ნაკრებს, რომელმაც შინ ვერ მოუგო ლიტვის გუნდს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არაფერი ესაქმება.

აუცილებლად უნდა გავგიმარჯვა ლიტვის ნაკრებთან, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში 106-ე ადგილი უკავია“. — ამბობს ნაციონალური ბეკენბაუერი.

კიევის „დინამო“ „ფულემისგან“ კაპიტანი დაინგრევლა

ბრაზილიური საფეხბურთო კლუბ „ფლამინგოს“ ცენტრალური მცველი და კაპიტანი ფერნანდო სანტოსი, შესაძლოა, კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში აღმოჩნდეს. ამის შესახებ ინფორმაციია დაადასტურეს, როგორც უკრანელი, ასევე ბრაზილიური გუნდის წარმომადგენლებმა.

აქვე გეტყვით, რომ სანტოსი 23 წლისაა და სიმაღლით 190 სმ-ია.

„ლიდსის“ პრეზიდენტი გადადგა

„ლიდს იუნაიტედის“ პრეზიდენტი პიტერ რიდსდეილი თანამდებობიდან გადადგა. მისი ასეთი ნაბიჯი კლუბის არასახარბიელო მდგომარეობით არის განპირობებული.

როგორც ცნობილია, მიმდინარე სეზონში „ლიდს იუნაიტედი“ რამდენიმე წაგებანის ფეხბურთელთა დატოვა, მათ შორის ლი ბოიერმა. რობი კინმა, ოლივიე დაუურმა და სხვებმა... მთავარი დანაკარგი კი ის იყო, რომ „ლიდსის“ ხელმძღვანელობამ რიო ფერდინანდი მიჰიდეს „მანჩესტერ იუნაიტედს“, რაშაც მოთმინების ფიალა აუვსო გუნდის გულშემატკივრებს, რომლებიც საპროტესტო გამოსვლებს აწყობდნენ კლუბის ოფისთან.

ტუნისელებმა ოთხთა ტურნირი მოიგეს

ტუნისში დასრულდა „ოთხთა ტურნირი“. ამ ქვეყნის, კამერუნის, განისა და მადაგასკარის ფეხბურთელთა ნაკრებების მონაწილეობით. ფინალში მასპინძლებმა 1-0 სძლიეს კამერუნელებს, ხოლო მესამე ადგილისათვის გამართული შეხვედრის ძირითადი დრო განეულებს და მადაგასკარელებს შორის ფრედ (3-3) დასრულდა. პენალტების სერიაში კი განეულებმა გაიმარჯვეს 10-9.

ჩილაველრტი კოსტა-რიკაში მიდის

ჩილაველრტი

პარაგვაის ნაკრების გოლკიპერი ხოსე ლუის ჩილაველრტი აცხადებს, რომ კარიერის გაგრძელებას კოსტა-რიკის ერთ-ერთ ძლიერ საფეხბურთო კლუბ „დეპორტივო სპარისში“ აპირებს.

37 წლის ჩილაველრტს სიტყვებს თუ დავუჯერებთ, მან უკვე მოიღო წინადადება კოსტარიკელებისგან.

აქვე გეტყვით, რომ „დეპორტივო სპარისი“ ახლახან იყოდა პიზნეზმენმა ხორხე გაგარამ, რომელსაც სუპერკლუბის შექმნა აქვს განზრახული.

ტოტალიზატორის მოყვარულთათვის

გთავაზობთ ევროპული ტოტალიზატორის „ევრობეტის“ ფსონთა კოეფიციენტებს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისათვის.

	1	X	2
სლოვენია — კვიპროსი	1,30	4,50	9,00
ისრაელი — საფრანგეთი	9,00	4,50	1,30
დანია —ბოსნია	1,20	5,25	12,00
ლუქსემბურგი — ნორვეგია	21,00	7,40	1,08
მოლდოვა — ჰოლანდია	12,00	5,25	1,20
ჩეხეთი — ავსტრია	1,30	4,50	9,00
პოლონეთი — სან მარინო	1,02	9,50	45,00
უნგრეთი — შვედეთი	2,70	3,10	2,45
ლიტვა - შოტლანდია	3,15	3,10	2,00
ესპანეთი — სომხეთი	1,04	8,50	34,00
ინგლისი — თურქეთი	1,85	3,20	4,00
ესტონეთი — ბულგარეთი	4,75	3,25	1,70
ხორვატია — ანდორა	1,02	9,50	46,00
საქართველო — შვეიცარია	3,50	3,10	2,00
ალბანეთი — ირლანდია	4,50	3,20	1,75

NBA ნბა

ინდიანა „ფლეი-ოფში" გავიდა

ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში თანდათან იკვეთება ის გუნდები, რომლებსაც ფლეი-ოფებში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. ასეთთა რიცხვს გუშინ „ინდიანაც" შეემატა, რომელმაც „ფინიქსს" სძლია. „ინდიანა" ამ სეზონში ლამაზი თამაში აჩვენებს. გასხაუთონებით გამოირჩეულნენ ფემი ოზლი და რონ არტესტი, რომელმაც შესაბამისად 24 და 20 ქულა შეიძინეს გუნდს.

დენვერი – ვაშინგტონი. ცქიტიშვილი (უკანა პლანზე) ცდილობს ბურთი აიოლას მაიკლ ჯორდანს (მისგან მარჯვნივ)

„ტრავმირებული მოთამაშეები გამოჯანმრთელდნენ, და „ინდიანა" ჩვეულ რატმში ჩადგა. ვიმედოვნებთ, რომ პლეი-ოფებიც ასევე წარმატებით გავიარ-ჩიელებთ", — განაცხადა მატჩის შემდეგ ქვიხ ოზლმა.

„ინდიანა" „ფინიქსთან" შეხვედრაში თავიდანვე დაეუღლა უპირატესობას და შეხვედრაზე 6 ქულიანი უპირატესობით გავიდა — 50:44, საბოლოოდ „ინდიანამ" გაიმარჯვა 92:81.

ნიკოლოზ ცქიტიშვილის „დენვერმა" კი მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონის" დამარცხება შეძლო — 88:72.

„დენვერის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო ცილიანში, რომელმაც 15 ქულა მოაგროვა, ხოლო „ვაშინგტონის" ლიდერად ისევ მაიკლ ჯორდანი შეგვევლინა 19 დაგროვებული ქულით.

რაც შეეხება ეკალიმერ სტეფანის „მაიამის", ეს უკანასკნელი სტუმრად დამარცხდა „მილუოკის" — 87:109.

მაიკლ ოზილა 34 ქულა მოუტანა „ლეიკერს", თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისათვის — „ლეიკერსი" დამარცხდა „სიტლთან" 98:119.

სხვა მატჩები: „ნიუ-ორლეანი" — „სან-ანტონიო" 90:92, „ლეიკერსი" — „ვეშფისი" 102:100, „ტორონტო" — „ნიუ-იორკი" 95:86. „მინესოტა" — „დალასი" 95:110, „დეტროიტი" — „საკრამენტო". 99:88.

კლიჩკო გაისრე-ლუისის ბრძოლაში გაბედულებას შეხვედება

როგორც იქნა, გაირკვა უკრაინელი მოკრივეის ვიტალი კლიჩკოს ბედი. ის ვხ-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტად ოფიციალურად დაასახელეს. კლიჩკო შეხვდება ლენოქს ლიუისსა და მაიკ ტაისონს შორის გამარჯვებულს.

ლიუისისა დ. ტაისონის ორთაბრძოლა მიმდინარე წლის ზაფხულშია დაგეგმილი. ამ ორ მოკრივეს შორის გამარჯვებული ვხ-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდება და ტიტულს კლიჩკოსთან ბრძოლაში დაიცავს 120 დღის განმავლობაში.

„ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ, უფერხულ მოკრივეებს შორის, არანაირი სასპარინო პროცესები აღარ ჩატარდება", — განაცხადა ვხ-ს ვიცე-პრეზიდენტმა რუბენს ბარტენსმა.

ვიტალი კლიჩკოს პრომოუტერის ქლაუს-პიტერ კოლს განცხადებით ის მოხარულია, რომ სიმართლე გაიმარჯვა. მით უმეტეს, რომ ისინი ლიუისთან მატჩის გამართვას წლის ბოლოსთვის ვარაუდობდნენ. კოლის თქმით, კლიჩკო სპარეის ტაისონთან ბრძოლაზე ადრე ჩატარებას აპირებდა. რაც შეეხება ლენოქ ლიუისს, ამ უკანასკნელს კლიჩკოსთან ჯერ არ სცხელა. — მას ხომ „რკინის მაიკთან" საეკუნის მატჩი ელის...

აგასიმ მეუღლესაც აჯობა

საჩოგბურთო ტურნირი „ნასკად-100"-ის ფინალში ანდრე აგასი კარლოს მოთას შეხვდა. აგასიმ თამაში იმდენად აღარესთელად დაიწყო, რომ მის მიერ ჩაწოდებული ბურთი 118 კმ/სთ სიჩქარით მიაქროდა. მოიი მხოლოდ თვალს თუ გააყოლებდა ბურთს, რომლის მოკრეიალებას საუბარიც ზედმეტი იყო. აგასიმ მეტიქე ორ სეტში დაამარცხა – 6:3, 6:3 და მთავარ პრიზს დაეუფლა. აგასისათვის ეს ტიტული რიგით მეექვსეც. ამ შედეგით მან გაიტანჩხრო თავის მეუღლეს შტეფი გრაფს, რომელსაც ამ შეჯიბრებაში 5-ჯერ გაუმარჯვია.

რაც შეეხება ესპანელ კარლოს მოიას, ეს უკანასკნელი აღერთოვანებული იყო მეტოქის თამაშით. „აგასი ისე კარგად თამაშობდა, რომ არაეითარი შანსი არ დამიტოვა", — თქვა მოიამ.

ოუორნიგბი ბრუნდება

ნბა-ში ერთ დროს უძლიერესმა ცენტრფორვარდმა ალონზო მოურნინგმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აპირებს მომავალი სეზონიდან კვლავ დაებრუნდეს დიდ კალათბურთს და თითქმის დარწმუნებულია, რომ შეძლებს.

„მე თამაში მომენატრა. ვიოდავარო, რასაც ჩემი შეჩერება შეუძლია, საკუთარი თორგანიზმია", – ამბობს მოურნინგი.

აქვე გეტყვით, რომ მოურნინგს მიმდინარე სეზონში ტრავმის გამო არ უთამაშია.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე სასწავლებლის ყოფილი თანამშრომლის, გამოჩენილი ვეტერანი მოფარიკავეობა და მწვრთნელის, საქართველოს სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს

ოთარ ჩიდიგულიძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ოთარ ჩიდიგულიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს, საქართველოს საფარიკაო და ეროვნან სპორტულ საშვაოს მისი თვალსაჩინო წარმომადგენლისა და ღვაწლმოსილი ვეტერანი მუშაკის

ოთარ ჩიდიგულიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ოთარ ჩიდიგულიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

წალენჯიხის რაიონის საფეხბურთო და რაიონის მთელი სპორტული საზოგადოებრიობა თანაგრძნობას უცხადებენ სფხ-ს პრეზიდენტს შამუკა ცგპაიაველიას ბებიის გარდაცვალების გამო.

ძნიშვნელოვანი სპორტული ბედაცემები

1 აპრილი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი. „მსოფლიო რაგბი" (14.45), ევროპის სტადიონებზე (20.00). *HTB плюс футбол.* ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო მატჩები: ვერშანიის „სპრტა" – „ბორუსია" (13.15), იტალიის „მილანი" – „ლაციო" (15.30), „რეალი" – „ვალენსია" (17.30), „მანჩესტერ იუნაიტედი" – „ნიუკასლი" (20.30), „ფეიენორდი" – „ფეიენორდი" (15.00, 22.15), დიპლომატიური ტასის მატჩების მიმოხილვა (19.35, 0.45), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (23.00). *HTB плюс спорт.* ჰოკეი. ნხლი-ი (15.05, 18.00, 1.35). სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი (16.45), სპორტული ცეკვები. გრან-პრი. პროფესიონალები (0.25). *EUROSPORT.* ველოსპორტი. ტრეკი. მსოფლიო თასი (13.00), ფიგურული ცოცეობა. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00). ფეხბურთი (16.30, 17.00 – ევროპის ჩემპიონატი. ლებერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (15.00), „ფეტბოდ მუნდიალი" (16. 15), ამხანაგური მატჩი. ახალგაზრდული ნაკრებები. რუსეთი – ბელორუსია (16.55, 21.35), პორჯაპირი რეპორტაჟი, საუკეთესო მატჩი ეროვნულ ჩემპიონატში: „მანჩესტერ იუნაიტედი" – „არსენალი" (19.25), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: სერბია და ჩერნოგორია – უელსი (23.10), ჩეხეთი – ავსტრია (1.10). *HTB плюс спорт.* ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (11.45, 18.20, 22.55, 1.30), კრივი. პრძოლა წესების გარეშე (16.20), „ბოლიორდის მეფეები" (19.25), საცხენოსნო სპორტი. „ალვარესის" თასი (1.40), *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004. კვალიფიკაცია (11.30), ფეხბურთი (13.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004. კვალიფიკაცია (17.00, 18.00, 19.00), ფიგურული ცოცეობა. მსოფლიო ჩემპიონატი (21.15), საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი (23.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 2004. შესარჩევი მატჩები. მიმოხილვა (1.45).

2 აპრილი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი, ფეხბურთი: საქართველო – შვეიცარია. ოფიციალური ნაკრებთა მატჩი. რეპორტაჟი პორტი პაიჭაძის სახ. სტადიონიდან (15.55), ფეხბურთი: საქართველო – შვეიცარია. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი. რეპორტაჟი „ლოკომოტივის" სტადიონიდან (20.55), *ვერსია.* „სპორტის სამყარო" (21.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45), *ობერი.* „ცისკარეი" – „რეალ სოსიედადი" (13.15), ლებერტადორესის თასი მატჩების მიმოხილვა (15.00), „ფუტბოდ მუნდიალი" (16. 15), ამხანაგური მატჩი. ახალგაზრდული ნაკრებები. რუსეთი – ბელორუსია (16.55, 21.35), პორჯაპირი რეპორტაჟი, საუკეთესო მატჩი ეროვნულ ჩემპიონატში: „მანჩესტერ იუნაიტედი" – „არსენალი" (19.25), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: სერბია და ჩერნოგორია – უელსი (23.10), ჩეხეთი – ავსტრია (1.10). *HTB плюс спорт.* ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (11.45, 18.20, 22.55, 1.30), კრივი. პრძოლა წესების გარეშე (16.20), „ბოლიორდის მეფეები" (19.25), საცხენოსნო სპორტი. „ალვარესის" თასი (1.40), *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004. კვალიფიკაცია (11.30), ფეხბურთი (13.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004. კვალიფიკაცია (17.00, 18.00, 19.00), ფიგურული ცოცეობა. მსოფლიო ჩემპიონატი (21.15), საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი (23.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 2004. შესარჩევი მატჩები. მიმოხილვა (1.45).

3 აპრილი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ვერსია. „სპორტის სამყარო" (19.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45), *HTB плюс футбол.* ლებერტადორესის თასი. პარაგვაის „ლებერტადი" – არგენტინის „რივერ პლეიტი" (13.15), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები – სან-მარინოს ნაკრები (15.25), სერბია და ჩერნოგორია – უელსის ნაკრები (17.20), ჩეხეთის ნაკრები – ავსტრიის ნაკრები (19.20), ლებერტადორესის თასი: პარაგვაის „ლებერტადი" – არგენტინის „რივერ პლეიტი" (21.00), ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები – სან-კრები (23.35), „ფუტბოდ მუნდიალი" (23.05), *HTB плюс спорт.* ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (11.45, 22.25, 1.25), სპორტული ცეკვები. გრან-პრიო. პროფესიონალები (15.05), სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი (16.45). *EUROSPORT.* საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი (12.30), ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატი 2004. შერჩევითი მატჩები (14.00, 19.00, 23.15), ლებერტადორესის თასი. მე-9 დღე. „ლებერტადი" – „რივერ პლეიტი" (21.15), კრივი (2.00).-



ჯვარედინი № 23

თარაზულად: 2. მხედრის ატრიბუტი, 7. იღეთი ქართულ ჭიდაობაში, 8. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 9. ლეგენდარული ატომბრობილი, 10. იღეთი ტანვარჯიშში, ღერძზე, 11. მადრიდის საფეხბ. კლუბი, 15. საბერძნეთის საფეხბ. კლუბი, 17. ტანვარჯიშეთი იარაღი, 19. საფეხბურთო ტოტალიზატორი საქართველოში, 20. ჭილდო, რომელიც გადაეცემა კინოსა და ჭადრაკში ყველაზე თაგმაჩინენილ პაროვნებებს, 21. ფორმულა 1-ის აღიარებული პილოტი. შვიეულად: 1.უმაღლესი ფიგურა სპვალაკო დაფაზე, 2. კუნთის ტიპეი, 3. მოკადრაკე ლანჩაკის სახელი, 4. ქართველი ორთაბრძოლების ასოციაცია, 5. იტალიის საფეხბ. კლუბი, 6. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, თამაშობს იატლიაში, 8. უმაღლესი შეფება სპორტში, 12. შეჯიბრების ეტაპი, 13. ცნობილი უცხოური საფეხბურთო ჟურნალი, 14. წარსულში ცნობილი ვოტინელი ვაჟი კალათბურთელი, 16. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში, 18. ნარნარი ფრენა.

ჯვროსვორდი №22-ის პასუხები:

თარაზულად: 1. ასპარეზი, 5. ფეხბ, 8. აღამპიონი. 9. პაული, 10. ცეცხ. 12. ატე, 14. პლატინი, 15. ბა, 17. აღამი, 18. ტ-ბოი, 20. პოლო, 11. სტატე, 23. სფორდი. შვიეულად: 1. აფაძეები, 2. პორტეი, 3. ირაო, 4. ამბერები, 5. ფეხბ, 6. „რეალი". 7. ინი, 11. ატლი, 13. ამატორი, 16. იმპირი, 19. ჯიმმ, 21. ოდა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაბუჩილაძე

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო პრიზიორებს ანცხადებს კონკურსს შემდეგი პაიანიზური თანამდებობის დასაკავებლად:

I. ჭიდაობისა და ძალოსნობის კათედრაზე:

1. კათედრის გამგის — 1 ერთეული.

II. ფ/კ მართვისა და სპორტის ისტორიის კათედრაზე:

1. მასწავლებლების — 1 ერთეული. სპორტის ისტორიის სპეციალობით.

III. ბიომექანიკისა და სპორტული მეტროლოგიის კათედრაზე:

1. კათედრის დოცენტის — 1 ერთეული, ბიოლოგიის სპეციალობით.

IV. ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრაზე:

1. კათედრის უფრ. მასწავლებლის — 1 ერთეული, ბიოლოგიის სპეციალობით.

V. ალპინიზმის, თხილამურებისა და ველოსპორტის კათედრაზე:

1. კათედრის უფრ. მასწავლებლის — 1 ერთეული, თხილამურების სპეციალობით.

2. კათედრის მასწავლებლის — 1 ერთეული, ალპინიზმის სპეციალობით.

VI. ცურვის კათედრაზე:

1. კათედრის უფრ. მასწავლებლის — 1 ერთეული, ცურვის სპეციალობით.

2. კათედრის მასწავლებელი — 1 ერთეული, წყლისტრის სპეციალობით.

VII. სპორტსმანშეების კათედრაზე:

1. კათედრის მასწავლებლის — 1 ერთეული ნაგბის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან გამოცხადებისა.

მისაბარათი: აკადემიის კადრების განყოფილება.

თბილისი. ი. ჭავჭავაძის გამზ. №49.

ვილიამსის ჟორჟიგ გრიუეფი

ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჭალა სერენა უილიამსმა სანოგბურთო ტურნირი „ნას ჭად-100 ოპენ" მოიგო. ფინალში უილიამსმა თანამებამულე ჯენიფერ კაპრიატი დაამარცხა 4:6, 6:4, 6:1. სტკთა შორის, სერენამ ზენიზეც მეშვიდედ შეძრო ჯენიფრის დამარცხება, თანაც ამჯერად დაბადების დღე ჩაუწყრა. თხილის დღეს ჯენიფერ კაპრიატის 27 წელი შეუსრულდა. მართალია, მან სერენა უილიამსის წინააღმდეგ თამაში წარმატებით დაიწყო და პირველი სეტის მოგებაც მოახერხა კიდეც, თუმცა მომდევნო ორ სეტში ვერაფერი გააწყო და საბოლოოდ დამარცხდა.

საქართველოს სპორტსმენთა და მწვრთნელთა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ოთარ ჩიდიგულიძის გარდაცვალების გამო.

საჭადრაკო ამოცანა

ე. ხუთორიანი (თბილისი)

ეძღვნება რობერტ შეიდაყიანის დაბადების 70 წლისთავს

შამათი 3 სვლაში

ამოცანა (რ)



შამათი 3 სვლაში

ამოცანა (7)



შამათი 3 სვლაში

ამოცანა (0)

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ქd6! – 2. ge5X. 1. ...e3f5 2. e6X. 1. ...e7f5 2. e2X